

შპს „მერსე საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	7
3. გადამწვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები.....	14
4. შემოსავალი	15
5. გაწეული მომსახურების თვითღირებულება.....	15
6. ადმინისტრაციული ხარჯები	15
7. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.....	15
8. ფინანსური ხარჯი.....	15
9. არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	16
10. მოგების გადასახადი	16
11. ძირითადი საშუალებები წმინდა	16
12. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	17
13. სესხები და სხვა მოთხოვნები, მიმდინარე.....	17
14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	17
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	17
16. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები და ბალანსები	17
17. პირობითი ვალდებულებები	18
18. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	18
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	18

შპს „მერსკ საქართველო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში)

	შენ.	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020	01 იანვარი, 2020
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები, წმინდა	11	25,124	48,628	75,111
ძირით. საშ. გამოყენების უფლებით, წმინდა		117,013	210,623	304,234
სულ გრძელვადიანი აქტივები		142,137	259,251	379,345
მიმდინარე აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
სავაჭრო და სხვა დებიტორული				
დავალიანებები	12	602,623	855,487	3,545,050
საგადასახადო აქტივი, წმინდა		339,070	812,130	178,998
მოთხოვნები სესხიდან, მიმდინარე	13	916,070	2,113,151	116,650
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	91,677	830,184	777,308
სულ მიმდინარე აქტივები		1,949,440	4,610,952	4,618,006
სულ აქტივები		2,091,577	4,870,203	4,997,351
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი		80,874	80,874	80,874
გაუნაწილებელი მოგება		1,693,680	4,368,969	4,500,345
სულ კაპიტალი		1,774,554	4,449,843	4,581,219
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება, გრძელვადიანი		29,643	153,843	236,639
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		29,643	153,843	236,639
მიმდინარე ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება, მიმდინარე		115,471	117,315	98,075
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	15	171,909	149,202	81,418
სულ მიმდინარე ვალდებულებები		287,380	266,517	179,493
სულ ვალდებულებები		317,023	420,360	416,132
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,091,577	4,870,203	4,997,351

დირექტორი: რომან კოლოიანოვი

2022 წლის 30 აგვისტო

შპს „მერსკ საქართველო“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში)

	შენ.	წლის დასასრული 31 დეკემბერი 2021	წლის დასასრული 31 დეკემბერი 2020
შემოსავალი	4	1,795,284	2,314,069
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	(104,602)	(765,312)
საერთო მოგება		1,690,682	1,548,757
ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,612,802)	(1,457,360)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		77,880	91,397
არასაოპერაციო შემოსავალი		-	-
არასაოპერაციო ხარჯი	9	(32,767)	(14,975)
მოგება პროცენტებამდე და დაბეგვრამდე		45,113	76,422
ფინანსური შემოსავალი	7	982,037	982,037
ფინანსური ხარჯი	8	(185,459)	(185,459)
მოგება დაბეგვრამდე		1,301,785	873,000
მოგების გადასახადი	10	(477,074)	(154,376)
წმინდა მოგება/(ზარალი)		824,711	718,624
სხვა სრული მოგება/(ზარალი)		-	-
წლის სრული ზარალი		824,711	718,624

დირექტორი: რომან კოლოიანოვი
2022 წლის 30 აგვისტო
შპს „მერსკ საქართველო“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2020 წლის 01 იანვარი	80,874	4,500,345	4,581,219
სხვა წლიური სრული მოგება/(ზარალი)	-	718,624	718,624
გაცემული დივიდენდი	-	(850,000)	(850,000)
2020 წლის 31 დეკემბერი	80,874	4,368,969	4,449,843
სხვა წლიური სრული მოგება/(ზარალი)	-	824,711	824,711
გაცემული დივიდენდი	-	(3,500,000)	(3,500,000)
2021 წლის 31 დეკემბერი	80,874	1,693,680	1,774,554


 დირექტორი: რომან კოლოიანოვი
 2022 წლის 30 აგვისტო

7-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს „მერსკ საქართველო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

	წლის დასასრული 31 დეკემბერი 2021	წლის დასასრული 31 დეკემბერი 2020
მოგება დაბეგრამდე	824,711	718,624
არაფულადი მოგების და ხარჯების კორექტირებები::		
ცვეთა და ამორტიზაცია	144,507	125,608
ძირითადი საშუალო, რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობა	-	-
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, წმინდა	(385,830)	44,885
პროცენტის ხარჯები	8,666	13,040
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე	592,054	902,157
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	257,391	2,695,488
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	22,707	68,495
ზრდა წინასწარ გადახდილ გადასახადებში	473,060	(634,588)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ნაღდი ფული	1,345,212	3,031,552
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ნაღდი ფული, წმინდა	1,345,212	3,031,552
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(27,393)	(4,059)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	-	-
სესხის გაცემა სხვა კომპანიებზე	1,197,081	(1,996,501)
სესხის დაბრუნება		
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა	1,169,688	(2,000,560)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ფინანსური იჯარის ძირის და პროცენტის გადახდა	(123,803)	(119,514)
დივიდენდების გადახდა	(3,500,000)	(850,000)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა	(3,623,803)	(969,514)
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი	(370,396)	8,603
ფულსა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(738,507)	52,876
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	830,184	777,308
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	91,677	830,184

დირექტორი: რომან კოლოიანოვი

2022 წლის 30 აგვისტო

შპს „მერსკ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მერსკ საქართველო“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში 1998 წლის ივნისში დაფუძნებული შერეული კაპიტალის საზოგადოება.

მერსკ საქართველო არის მერსკ გლობალის წარმომადგენელი საქართველოში. კომპანია უწევს აგენტის მომსახურებას დანიურ საწარმოებს მერსკ ა/ს და სილენდ ევროპა ა/ს-ს. აგენტის ძირითადი ფუნქციას წარმოადგენს პრინციპალის გადახედვებთან დაკავშირებული გაყიდვების, მარკეტინგის, კლიენტთა მომსახურების და სხვა ადგილობრივი ოპერაციების მართვა.

2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სს მერსკ ლაინ ეიჯენსი პოლდინგი (შემდგომში „დედა კომპანია“), რეგისტრირებული დანიაში.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს მისამართზე: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ლ. ასათიანის ქ., №52.

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფას-ები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) მიხედვით, გარდა აქტივის გამოყენების უფლების და ფინანსური იჯარის ვალდებულების აღიარებისა, კომპანია იყენებს ფასს 16, რადგანაც ნებადართულია მის ფასის მიხედვით.

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და განაგრძობს ფუნქციონირებას განკვეთილ მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის საფუძველზე. პირვანდელი ღირებულება, როგორც წესი, ეყრდნობა აქტივის სანაცვლოდ გაღებული საზღაურის სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის, იმისდა მიუხედავად, ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადია, თუ შეფასების სხვა მეთოდით არის განსაზღვრული. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას კომპანია იმ შემთხვევაში ითვალისწინებს აქტივის და ვალდებულების თავისებურებებს, თუკი ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამ თავისებურებებს შეფასების თარიღისთვის აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

სამუშაო ვალუტა. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები გამოსახულია იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც ეს საწარმო საქმიანობს (შემდგომში „სამუშაო ვალუტა“). კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი („ლარი“). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ლარი, თუ სხვაგვარად არ იქნება მინიშნებული.

ურთიერთგაქვითვა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების

შპს „მერსკ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

(ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულებების დაფარვის სტრუქტურა. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ:

ამონაგების აღიარება

შემოსავალი მიღებული ან შესადები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ფასდება. კომპანიის მიერ მიღებული შემოსავალი ასახავს მხოლოდ შემოსავლის იმ ნაწილს რომელიც არ მოიცავს პრინციპალის სახელით მიღებულ შემოსავალს.

აგენტის ანაზღაურება

შემოსავალი აგენტის მომსახურებიდან მიიღება საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიებთან: AS Maersk Line და AS Sealand; გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. აგენტის ანაზღაურება ყოველთვიურად მიიღება და აღიარდება, სატრანზაქციო წმინდა მოგების მეთოდის (TNMM) გამოყენებით, რომელიც მოგების საფუძველზე გამოითვლება და მოითხოვს ბრუნვიდან მიღებული წმინდა მოგების მარჯის შემოწმებას.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

იმ შემთხვევაში, თუ საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად მიიღება საიჯარო შეღავათები, ეს უკანასკნელები ვალდებულებად აღირიცხება. შეღავათების აგრეგირებული სარგებლის აღიარება ხდება საიჯარო ხარჯის შემცირების სახით დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

უცხოური ვალუტები

ამ საწარმოს სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში (უცხოურ ვალუტებში) გამოხატული გარიგებების აღიარება ხდება ამ გარიგებების თარიღებით მოქმედი საგალუტო კურსებით. ანგარიშგების ყველა თარიღში, უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი მუხლების გადაყვანა ხდება ამ თარიღით მოქმედი კურსის გამოყენებით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, რომელიც კურსთაშორისი სხვაობით წარმოიშება შესულია ამ პერიოდის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს დაფიქსირებული საგალუტო კურსები, რომლებიც გამოიყენა კომპანიამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	01 იანვარი 2020
USD/GEL	3.0976	3.2766	2.8661
EUR/GEL	3.5040	4.0233	3.2143

შპს „მერსკ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე საგადასახადო დავალიანებას.

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება (მე-10 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. ამგვარი მოგება დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ზიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება) ითვლება. ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და შედის მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა:

- იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის დღე აქტივის (ანაზღაურებადი დღე) ან ვალდებულების წაწილში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და, საჭიროების შემთხვევაში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

ძირითადი საშუალებების ერთეულების პირვანდელი ღირებულება მოიცავს (ა) მის შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის მოსაკრებელს და შესყიდვის არა დაბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო ფასდათმობების და ფასდაკლებების შემდეგ; (ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ერთეულის საჭირო ადგილზე და მდგომარეობაში მოყვანას, კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი წესით ფუნქციონირებისთვის; (გ) ერთეულის დემონტაჟისა და ტერიტორიიდან გატანის, ასევე იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯების თავდაპირველ

შპს „მერსკ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

შეფასებას, რომელზედაც ამგვარი ერთეული იყო განთავსებული; და (დ) ვალდებულებას, რომელსაც კომპანია გასწევს ერთეულის შეძენისას ან კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ერთეულის გამოყენების შედეგად, ამ პერიოდის განმავლობაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების წარმოების მიზნისაგან განსხვავებული მიზნით.

ამის შემდეგ, კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს გაუმჯობესების და გამოცვლის ძირითად დანახარჯებს, რომლებიც აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას ახანგრძლივებს ან ზრდის შემოსავლის წარმოქმნის მასშტაბს. რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კაპიტალიზაციის არსებულ კრიტერიუმებს, გაწევისთანავე აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია დაირიგება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ამორტიზებადი თანხის ჩამოწერის გზით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
სატრანსპორტო საშუალებები	5
კომპიუტერული უზრუნველყოფა	3

ამორტიზებადი თანხა ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულებაა, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან მიიღება, გასხვისების სავარაუდო ხარჯების დაქვითვის შემდეგ, აქტივი მოძველებული და ისეთ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, როგორიც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისთვის.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება. წინა შეფასებების ნებისმიერი ცვლილების ეფექტი პერსპექტიულად აღირიცხება, სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალებების ერთეულის გაყიდვის ან გასხვისების ან ექსპლუატაციიდან ამოღების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო მოსალოდნელია, რომ კომპანიისგან მოთხოვნილი იქნება ვალდებულებების დაფარვა და შესაძლებელი იქნება ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება.

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

შპს „მერსკ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივები არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა ისინი განხილულია ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის მიღება.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აღიარდება იმ დროს, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყრება შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებად, გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად, და სესხებად და მისაღებ ანგარიშებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სასესხო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ასდენს მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ყველა გადახდილი ან მიღებული გასაშვებო, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, გარიგების დანახარჯები და სხვა პრემიები თუ დისკონტები) დისკონტირებას სავალო ინსტრუმენტის მოქმედების მოსალოდნელ ვადაზე ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე ვადაზე, თავდაპირველი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. სასესხო ინსტრუმენტებისთვის შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შეფასება შემდგომში ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები, რომლებზეც პროცენტი არ ირიცხება, ნომინალური ღირებულებით აღირიცხება. მოსალოდნელი უიმედო თანხების შესაბამისი რეზერვები აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული რეზერვი ფასდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება თავდაპირველი აღიარებისას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივების ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

ყველა დანარჩენი ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება იქნება:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- კონტრაქტის პირობების დარღვევა, როგორცაა ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში. გამონაკლისია სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომლის შემთხვევაშიც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო დებიტორული დავალიანება უიმედოდ ჩაითვლება, ის ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

შპს „მერსკ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

(ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული თანხებისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას და დებიტორულ დავალიანებასა და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების არასრულად შეწყვეტის შემთხვევაში (მაგ. როდესაც კომპანია იტოვებს გადაცემული აქტივის ნაწილის გამოსყიდვის უფლებას), კომპანია ფინანსური აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას გადაანაწილებს იმ ნაწილზე, რომელში მონაწილეობის შენარჩუნებასაც აღიარებს, და იმ ნაწილზე, რომელსაც აღარ აღიარებს, გადაცემის თარიღისთვის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით. აღიარებაშეწყვეტილი ნაწილისთვის მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებასა და აღიარებაშეწყვეტილ ნაწილში მიღებული საზღაურისა და მასზე განაწილებული და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი ნამეტი შემოსავლის ან ზარალის ჯამს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ნაწილდება იმ ნაწილს, რომლის აღიარებაც გრძელდება და აღიარებაშეწყვეტილ ნაწილს შორის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

მოზიდულ და საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირება

კომპანიის მიერ გამოშვებული სავალ და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულება ან როგორც კაპიტალი, სახელშეკრულებო პირობებისა და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებების მიხედვით.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის კონტრაქტი, რომლითაც დასტურდება ნარჩენი ინტერესი საწარმოს აქტივში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის საწარმოს მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული საზღაურის ოდენობით, რასაც აკლდება გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები.

კომპანიის საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტების განმეორებით შესყიდვა პირდაპირ კაპიტალში აღიარდება ან დაიქვითება. კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტების ყიდვის, გაყიდვის, გამოშვების ან გაუქმებისას მოგებაში ან ზარალში შემოსულობა ან ზარალი არ აღიარდება.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (რომლებიც წარმოდგენილია სავაქრო და სხვა კრედიტორული დავალიანებით) აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

შპს „მერსკ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ განხორციელებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

აგანსად გადახდილი გადასახადები და სხვა საგადასახადო დავალიანება

აგანსად გადახდილი გადასახადები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით, რასაც აკლდება მოსალოდნელი უიმედო თანხების რეზერვი. საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა ნომინალური ღირებულებით აღირიცხება.

3. გადაწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომლებიც მე-2 შენიშვნაშია აღწერილი, დირექტორებს მოეთხოვებათ განსჯა, შეფასება და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც შუა სახით ხელმისაწვდომი არ არის სხვა წყაროებიდან. ეს შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც აქტუალურად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

ეს შეფასებები და თანმდევი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა ამ შეფასების გადახედვა, თუ გადახედვა გავლენას ახდენს მხოლოდ ამ პერიოდზე, ან გადახედვის პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის დაშვებებზე, რომლებიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოიტხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების დაკორექტირება.

შპს „მერსე-საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

4. შემოსავალი

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
შემოსავალი აგენტის მომსახურებიდან	1,795,284	1,642,849
შემოსავალი ტვირთების გადაზიდვიდან	-	671,220
	<u>1,795,284</u>	<u>2,314,069</u>

5. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
აგენტის მომსახურების ხარჯი	(104,602)	(129,557)
ტვირთების გადაზიდვის ხარჯი	-	(635,755)
	<u>(104,602)</u>	<u>(765,312)</u>

6. ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
დაქირავებულ პირთა გასამრჯელო	(1,047,105)	(985,893)
მომსახურების ხარჯები	(234,223)	(174,182)
ცვეთა აქტივის გამოყენების უფლებაზე	(93,610)	(93,610)
კომუნალური ხარჯები	(77,223)	(75,436)
იჯარის ხარჯი	(41,076)	(48,167)
ცვეთის ხარჯი	(50,897)	(31,998)
საგადასახადო ხარჯი	(4,308)	(9,513)
საწვავის ხარჯი	(9,262)	(4,620)
მოვლინების ხარჯები	(3,576)	(587)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(51,522)	(33,354)
	<u>(1,612,802)</u>	<u>(1,457,360)</u>

7. ფინანსური შემოსავალი

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
საპროცენტო შემოსავალი გაცემულ სესხებზე	1,244,028	937,758
ბანკებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი	41,568	44,279
	<u>1,285,596</u>	<u>982,037</u>

8. ფინანსური ხარჯი

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
საურავი	-	(106,364)
საქურსო სხვაობებიდან მიღებული ზარალი / შემოსავალი	2,027	(44,885)
საბანკო ხარჯები	(22,285)	(21,170)
პროცენტის ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	(8,666)	(13,040)
	<u>(28,924)</u>	<u>(185,459)</u>

შპს „მერსე საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

9. არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი

	31 December, 2021	31 December, 2020
<i>შემოსავალი</i>		
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	-	-
	-	-
<i>ხარჯი</i>		
საჩუქრები და შეწირულობები	(32,767)	(14,975)
	(32,767)	(14,975)

10. მოგების გადასახადი

საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების ამოქმედების შემდეგ (მე-2 შენიშვნა), 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიამ მთლიანად შემოაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ბასს (IAS) 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეაფასოს 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს გაუნაწილებელ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან.

11. ძირითადი საშუალებები წმინდა

<i>ფიქსირებული ქონება</i>	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული უზრუნველყოფა	სულ
<i>შეფასებული ღირებულება</i>			
2019 წლის 31 დეკემბერი	118,883	143,424	262,308
შესყიდვები	-	-	-
გაყიდვები	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	118,883	143,424	262,307
შესყიდვები	-	-	-
გაყიდვები	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	118,883	143,424	262,307
<i>გვერდი</i>			
2019 წლის 31 დეკემბერი	58,970	128,226	187,196
მიმდინარე წლის ცვეთა	17,830	8,652	26,483
გაყიდვები	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	76,801	136,878	213,679
მიმდინარე წლის ცვეთა	17,829	5,675	23,504
გაყიდვები	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	94,630	142,554	237,184
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>			
2019 წლის 31 დეკემბერი	59,913	15,198	75,111
2020 წლის 31 დეკემბერი	42,083	6,546	48,628
2021 წლის 31 დეკემბერი	24,254	870	25,124

შპს „მერსკ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

12. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
მოთხოვნები მეკავშირე კომპანიებთან	589,851	841,047	3,531,579
დეპოზიტები, მიმდინარე	11,747	12,419	11,919
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	1,025	1,031	1,052
მოთხოვნები თანამშრომლებთან	589,851	990	500
	<u>602,623</u>	<u>855,487</u>	<u>3,545,050</u>

13. სესხები და სხვა მოთხოვნები, მიმდინარე

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
მისაღები სესხები, მიმდინარე	916,070	2,113,151	116,650
	<u>916,070</u>	<u>2,113,151</u>	<u>116,650</u>

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
ფული საბანკო ანგარიშებზე	91,677	830,184	777,308
	<u>91,677</u>	<u>830,184</u>	<u>777,308</u>

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
სახელფასო ვალდებულებები	92,928	72,057	11,567
სავაჭრო ვალდებულებები	78,981	68,712	53,296
სხვა ანარიტები	-	8,433	10,373
ვალდებულები მეკავშირე კომპანიებთან	-	-	6,182
	<u>171,909</u>	<u>149,202</u>	<u>81,418</u>

16. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები და ბალანსები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობას და კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს, ასევე უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრებს.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ნაშთები და გარიგებები:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
--	--------------------	--------------------	--------------------

შპს „მერსკ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

შემოსავალი	1,795,284	2,314,069	1,553,378
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	589,851	841,047	3,531,579
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	6,182
სესხები, მიმდინარე	916,070	2,113,151	116,650

17. პირობითი ვალდებულებები

ვალდებულებები – კომპანიას არ გააჩნია არსებითი დაუფარავი ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

სამართალწარმოება – 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია იყო ჩართული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან საგადასახადო დავაში, რომელიც ეფუძნებოდა ბრძანება N41738-სა და საგადასახადო მოთხოვნა N005-310 -ს, დათარიღებული 29 დეკემბრის 2021 წლით, დანართი N I-09- ს.

სადავო თანხის ღირებულება და ფინანსური გავლენა შეადგენს 10,686,221 ლარს, შესამოწმებელი პერიოდი მოიცავს 2018 წლის 1 იანვარსა და 2021 წლის 1 ნოემბერს.

საწყის ეტაპზე კომპანიამ გაასაჩივრა ზემოთ ხსენებული დარიცხული თანხები და ჯარიმა 2022 წლის 28 იანვარს, რომელი განცხადებაც არ დაკმაყოფილდა და საქმე ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დავების საბჭოში, საქმის გადაწყვეტის სავარაუდო დრო უცნობია.

მენეჯმენტი მიჩნევს რომ ზემოთხსენებული დავის წაგება არ არის სავარაუდო, შესაბამისად, მას წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხები არ გაუთვალისწინებია.

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა და პრაქტიკა მუდმივი განვითარების პროცესში იმყოფება შესაბამისად ის ცვალებად ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებებს ექვემდებარება, რაც შესაძლოა უკუქმედების ძალის მქონე იყოს. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობებთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობისეულ ინტერპრეტაციებს. საგადასახადო პერიოდები ღია რჩება ხუთი წლის განმავლობაში საგადასახადო უწყებების მიერ გადასახედად. შედეგად, საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ექვემდებარებოდნენ გარიგებები, ხოლო კომპანიას შესაძლოა დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

18. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა დირექტორთა საბჭოს მიერ და გამოსაშვებად ავტორიზებულ იქნა 2022 წლის 30 აგვისტოს



დირექტორი: რომან კოლოდიანი

2022 წლის 30 აგვისტო

შპს „მერსკ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.....	7
3. გადამწვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები.....	14
4. შემოსავალი.....	15
5. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	15
6. ადმინისტრაციული ხარჯები	15
7. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.....	15
8. ფინანსური ხარჯი.....	15
9. არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი.....	16
10. მოგების გადასახადი	16
11. ძირითადი საშუალებები წმინდა	16
12. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	17
13. სესხები და სხვა მოთხოვნები, მიმდინარე	17
14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	17
16. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები და ბალანსები.....	17
17. პირობითი ვალდებულებები	18
18. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	18
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	18

შპს „მერსკ საქართველო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში)

	შენ.	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020	01 იანვარი, 2020
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები, წმინდა	11	25,124	48,628	75,111
ძირით. საშ. გამოყენების უფლებით, წმინდა		117,013	210,623	304,234
სულ გრძელვადიანი აქტივები		142,137	259,251	379,345
მიმდინარე აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
სავაჭრო და სხვა დებიტორული				
დავალიანებები	12	602,623	855,487	3,545,050
საგადასახადო აქტივი, წმინდა		339,070	812,130	178,998
მოთხოვნები სესხიდან, მიმდინარე	13	916,070	2,113,151	116,650
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	91,677	830,184	777,308
სულ მიმდინარე აქტივები		1,949,440	4,610,952	4,618,006
სულ აქტივები		2,091,577	4,870,203	4,997,351
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი		80,874	80,874	80,874
გაუნაწილებელი მოგება		1,693,680	4,368,969	4,500,345
სულ კაპიტალი		1,774,554	4,449,843	4,581,219
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება, გრძელვადიანი		29,643	153,843	236,639
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		29,643	153,843	236,639
მიმდინარე ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება, მიმდინარე		115,471	117,315	98,075
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	15	171,909	149,202	81,418
სულ მიმდინარე ვალდებულებები		287,380	266,517	179,493
სულ ვალდებულებები		317,023	420,360	416,132
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,091,577	4,870,203	4,997,351

დირექტორი: რომან კოლოიანოვი

2022 წლის 30 აგვისტო

7-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს „მერსკ საქართველო“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში)

	შენ.	წლის დასასრული 31 დეკემბერი 2021	წლის დასასრული 31 დეკემბერი 2020
შემოსავალი	4	1,795,284	2,314,069
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	(104,602)	(765,312)
საერთო მოგება		1,690,682	1,548,757
ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,612,802)	(1,457,360)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		77,880	91,397
არასაოპერაციო შემოსავალი		-	-
არასაოპერაციო ხარჯი	9	(32,767)	(14,975)
მოგება პროცენტებამდე და დაბეგვრამდე		45,113	76,422
ფინანსური შემოსავალი	7	982,037	982,037
ფინანსური ხარჯი	8	(185,459)	(185,459)
მოგება დაბეგვრამდე		1,301,785	873,000
მოგების გადასახადი	10	(477,074)	(154,376)
წმინდა მოგება/(ზარალი)		824,711	718,624
სხვა სრული მოგება/(ზარალი)		-	-
წლის სრული ზარალი		824,711	718,624

დირექტორი: რომან კოლოიანოვი
2022 წლის 30 აგვისტო
შპს „მერსკ საქართველო“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2020 წლის 01 იანვარი	80,874	4,500,345	4,581,219
სხვა წლიური სრული მოგება/(ზარალი)	-	718,624	718,624
გაცემული დივიდენდი	-	(850,000)	(850,000)
2020 წლის 31 დეკემბერი	80,874	4,368,969	4,449,843
სხვა წლიური სრული მოგება/(ზარალი)	-	824,711	824,711
გაცემული დივიდენდი	-	(3,500,000)	(3,500,000)
2021 წლის 31 დეკემბერი	80,874	1,693,680	1,774,554

დირექტორი: რომან კოლოიანოვი

2022 წლის 30 აგვისტო

შპს „მერსკ საქართველო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

	წლის დასასრული 31 დეკემბერი 2021	წლის დასასრული 31 დეკემბერი 2020
მოგება დაბეგვრამდე	824,711	718,624
არაფულადი მოგების და ხარჯების კორექტირებები::		
ცვეთა და ამორტიზაცია	144,507	125,608
ძირითადი საშუალო. რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობა	-	-
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, წმინდა	(385,830)	44,885
პროცენტის ხარჯები	8,666	13,040
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე	592,054	902,157
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	257,391	2,695,488
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	22,707	68,495
ზრდა წინასწარ გადახდილ გადასახადებში	473,060	(634,588)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ნაღდი ფული	1,345,212	3,031,552
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ნაღდი ფული, წმინდა	1,345,212	3,031,552
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(27,393)	(4,059)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	-	-
სესხის გაცემა სხვა კომპანიებზე	1,197,081	(1,996,501)
სესხის დაბრუნება		
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა	1,169,688	(2,000,560)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ფინანსური იჯარის ძირის და პროცენტის გადახდა	(123,803)	(119,514)
დივიდენდების გადახდა	(3,500,000)	(850,000)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა	(3,623,803)	(969,514)
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი	(370,396)	8,603
ფულსა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(738,507)	52,876
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	830,184	777,308
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	91,677	830,184

დირექტორი: რომან კოლოიანოვი

2022 წლის 30 აგვისტო

შპს „მერსკ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მერსკ საქართველო“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში 1998 წლის ივნისში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

მერსკ საქართველო არის მერსკ გლობალის წარმომადგენელი საქართველოში. კომპანია უწევს აგენტის მომსახურებას დანიურ საწარმოებს მერსკ ა/ს და სილენდ ევროპა ა/ს-ს. აგენტის ძირითადი ფუნქციას წარმოადგენს პრინციპალის გადაზიდვებთან დაკავშირებული გაყიდვების, მარკეტინგის, კლიენტთა მომსახურების და სხვა ადგილობრივი ოპერაციების მართვა.

2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სს მერსკ ლაინ ეიჯენსი ჰოლდინგი (შემდგომში „დედა კომპანია“), რეგისტრირებული დანიაში.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს მისამართზე: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ლ. ასათიანის ქ., №52.

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) მიხედვით, გარდა აქტივის გამოყენების უფლების და ფინანსური იჯარის ვალდებულების აღიარებისა. კომპანია იყენებს ფასს 16, რადგანაც ნებადართულია მსს ფასს-ის მიხედვით.

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და განაგრძობს ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის საფუძველზე. პირვანდელი ღირებულება, როგორც წესი, ეყრდნობა აქტივის სანაცვლოდ გაღებული საზღაურის სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის, იმისდა მიუხედავად, ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადია, თუ შეფასების სხვა მეთოდით არის განსაზღვრული. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას კომპანია იმ შემთხვევაში ითვალისწინებს აქტივის და ვალდებულების თავისებურებებს, თუკი ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამ თავისებურებებს შეფასების თარიღისთვის აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

სამუშაო ვალუტა. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები გამოსახულია იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც ეს საწარმო საქმიანობს (შემდგომში „სამუშაო ვალუტა“). კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი („ლარი“). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ლარი, თუ სხვაგვარად არ იქნება მინიშნებული.

ურთიერთგაქვითვა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების

შპს „მერსკ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ:

ამონაგების აღიარება

შემოსავალი მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ფასდება. კომპანიის მიერ მიღებული შემოსავალი ასახავს მხოლოდ შემოსავლის იმ ნაწილს რომელიც არ მოიცავს პრინციპალის სახელით მიღებულ შემოსავალს.

აგენტის ანაზღაურება

შემოსავალი აგენტის მომსახურებიდან მიიღება საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიებთან: AS Maersk Line და AS Sealand, გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. აგენტის ანაზღაურება ყოველთვიურად მიიღება და აღიარდება, სატრანზაქციო წმინდა მოგების მეთოდის (TNMM) გამოყენებით, რომელიც მოგების საფუძველზე გამოითვლება და მოითხოვს ბრუნვიდან მიღებული წმინდა მოგების მარჟის შემოწმებას.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

იმ შემთხვევაში, თუ საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად მიიღება საიჯარო შეღავათები, ეს უკანასკნელები ვალდებულებად აღირიცხება. შეღავათების აგრეგირებული სარგებლის აღიარება ხდება საიჯარო ხარჯის შემცირების სახით დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

უცხოური ვალუტები

ამ საწარმოს სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში (უცხოურ ვალუტებში) გამოხატული გარიგებების აღიარება ხდება ამ გარიგებების თარიღებით მოქმედი სავალუტო კურსებით. ანგარიშგების ყველა თარიღში, უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი მუხლების გადაყვანა ხდება ამ თარიღით მოქმედი კურსის გამოყენებით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, რომელიც კურსთაშორისი სხვაობით წარმოიშვება შესულია ამ პერიოდის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს დაფიქსირებული სავალუტო კურსები, რომლებიც გამოიყენა კომპანიამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	01 იანვარი 2020
USD/GEL	3.0976	3,2766	2.8661
EUR/GEL	3.5040	4,0233	3.2143

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე საგადასახადო დავალიანებას.

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება (მე-10 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. ამგვარი მოგება დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღირიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება) ითვლება. ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და შედის მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა:

- იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახადელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის დღე აქტივის (ანაზღაურებადი დღე) ან ვალდებულების ნაწილში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და, საჭიროების შემთხვევაში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

ძირითადი საშუალებების ერთეულების პირვანდელი ღირებულება მოიცავს (ა) მის შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის მოსაკრებელს და შესყიდვის არა დაბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო ფასდათმობების და ფასდაკლებების შემდეგ; (ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ერთეულის საჭირო ადგილზე და მდგომარეობაში მოყვანას, კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი წესით ფუნქციონირებისთვის; (გ) ერთეულის დემონტაჟისა და ტერიტორიიდან გატანის, ასევე იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯების თავდაპირველ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

შეფასებას, რომელზედაც ამგვარი ერთეული იყო განთავსებული, და (დ) ვალდებულებას, რომელსაც კომპანია გასწევს ერთეულის შეძენისას ან კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ერთეულის გამოყენების შედეგად, ამ პერიოდის განმავლობაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების წარმოების მიზნისაგან განსხვავებული მიზნით.

ამის შემდეგ, კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს გაუმჯობესების და გამოცვლის ძირითად დანახარჯებს, რომლებიც აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას ახანგრძლივებს ან ზრდის შემოსავლის წარმოქმნის მასშტაბს. რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კაპიტალიზაციის არსებულ კრიტერიუმებს, გაწვევითანავე აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია დაირიცხება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ამორტიზებადი თანხის ჩამოწერის გზით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
სატრანსპორტო საშუალებები	5
კომპიუტერული უზრუნველყოფა	3

ამორტიზებადი თანხა ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულებაა, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან მიიღებდა, გასხვისების სავარაუდო ხარჯების დაქვითვის შემდეგ, აქტივი მოძველებული და ისეთ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, როგორც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისთვის.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება. წინა შეფასებების ნებისმიერი ცვლილების ეფექტი პერსპექტიულად აღირიცხება, სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალებების ერთეულის გაყიდვის ან გასხვისების ან ექსპლუატაციიდან ამოღების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო მოსალოდნელია, რომ კომპანიისგან მოთხოვნილი იქნება ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელი იქნება ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება.

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივები არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა ისინი განხილულია ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის მიღება.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აღიარდება იმ დროს, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებად, გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად, და სესხებად და მისაღებ ანგარიშებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სასესხო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ყველა გადახდილი ან მიღებული გასამრჯელო, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, გარიგების დანახარჯები და სხვა პრემიები თუ დისკონტები) დისკონტირებას სავალო ინსტრუმენტის მოქმედების მოსალოდნელ ვადაზე ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე ვადაზე, თავდაპირველი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. სასესხო ინსტრუმენტებისთვის შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შეფასება შემდგომში ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები, რომლებზეც პროცენტი არ ირიცხება, ნომინალური ღირებულებით აღირიცხება. მოსალოდნელი უიმედო თანხების შესაბამისი რეზერვები აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული რეზერვი ფასდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება თავდაპირველი აღიარებისას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივების ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

ყველა დანარჩენი ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება იქნება:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- კონტრაქტის პირობების დარღვევა, როგორიცაა ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში. გამონაკლისია სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომლის შემთხვევაშიც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო დებიტორული დავალიანება უიმედოდ ჩაითვლება, ის ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული თანხებისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას და დებიტორულ დავალიანებასა და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების არასრულად შეწყვეტის შემთხვევაში (მაგ. როდესაც კომპანია იტოვებს გადაცემული აქტივის ნაწილის გამოსყიდვის უფლებას), კომპანია ფინანსური აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას გადაანაწილებს იმ ნაწილზე, რომელში მონაწილეობის შენარჩუნებასაც აღიარებს, და იმ ნაწილზე, რომელსაც აღარ აღიარებს, გადაცემის თარიღისთვის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით. აღიარებაშეწყვეტილი ნაწილისთვის მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებასა და აღიარებაშეწყვეტილ ნაწილში მიღებული საზღაურისა და მასზე განაწილებული და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი ნამეტი შემოსავლის ან ზარალის ჯამს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ნაწილდება იმ ნაწილს, რომლის აღიარებაც გრძელდება და აღიარებაშეწყვეტილ ნაწილს შორის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

მოზიდულ და საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირება

კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულება ან როგორც კაპიტალი, სახელშეკრულებო პირობებისა და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებების მიხედვით.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის კონტრაქტი, რომლითაც დასტურდება ნარჩენი ინტერესი საწარმოს აქტივში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის საწარმოს მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული საზღაურის ოდენობით, რასაც აკლდება გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები.

კომპანიის საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტების განმეორებით შესყიდვა პირდაპირ კაპიტალში აღიარდება ან დაიქვითება. კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტების ყიდვის, გაყიდვის, გამოშვების ან გაუქმებისას მოგებაში ან ზარალში შემოსულობა ან ზარალი არ აღიარდება.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (რომლებიც წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებით) აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ განხორციელებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

ავანსად გადახდილი გადასახადები და სხვა საგადასახადო დავალიანება

ავანსად გადახდილი გადასახადები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით, რასაც აკლდება მოსალოდნელი უიმედო თანხების რეზერვი. საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა ნომინალური ღირებულებით აღირიცხება.

3. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომლებიც მე-2 შენიშვნაშია აღწერილი, დირექტორებს მოეთხოვებათ განსჯა, შეფასება და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც მზა სახით ხელმისაწვდომი არ არის სხვა წყაროებიდან. ეს შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც აქტუალურად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

ეს შეფასებები და თანმდევი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა ამ შეფასების გადახედვა, თუ გადახედვა გავლენას ახდენს მხოლოდ ამ პერიოდზე, ან გადახედვის პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის დაშვებებზე, რომლებიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძვლებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების დაკორექტირება.

შპს „მერსკ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

4. შემოსავალი

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
შემოსავალი აგენტის მომსახურებიდან	1,795,284	1,642,849
შემოსავალი ტვირთების გადაზიდვიდან	-	671,220
	1,795,284	2,314,069

5. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
აგენტის მომსახურების ხარჯი	(104,602)	(129,557)
ტვირთების გადაზიდვის ხარჯი	-	(635,755)
	(104,602)	(765,312)

6. ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
დაქირავებულ პირთა გასამრჯელო	(1,047,105)	(985,893)
მომსახურების ხარჯები	(234,223)	(174,182)
ცვეთა აქტივის გამოყენების უფლებაზე	(93,610)	(93,610)
კომუნალური ხარჯები	(77,223)	(75,436)
იჯარის ხარჯი	(41,076)	(48,167)
ცვეთის ხარჯი	(50,897)	(31,998)
საგადასახადო ხარჯი	(4,308)	(9,513)
საწვავის ხარჯი	(9,262)	(4,620)
მოვლინების ხარჯები	(3,576)	(587)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(51,522)	(33,354)
	(1,612,802)	(1,457,360)

7. ფინანსური შემოსავალი

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
საპროცენტო შემოსავალი გაცემულ სესხებზე	1,244,028	937,758
ბანკებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი	41,568	44,279
	1,285,596	982,037

8. ფინანსური ხარჯი

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
საურავი	-	(106,364)
საკუროს სხვაობებიდან მიღებული ზარალი / შემოსავალი	2,027	(44,885)
საბანკო ხარჯები	(22,285)	(21,170)
პროცენტის ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	(8,666)	(13,040)
	(28,924)	(185,459)

შპს „მერსკ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

9. არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი

	31 December, 2021	31 December, 2020
<i>შემოსავალი</i>		
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	-	-
	-	-
<i>ხარჯი</i>		
საჩუქრები და შეწირულობები	(32,767)	(14,975)
	(32,767)	(14,975)

10. მოგების გადასახადი

საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების ამოქმედების შემდეგ (მე-2 შენიშვნა), 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიამ მთლიანად შემოაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ბასს (IAS) 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეაფასოს 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს გაუნაწილებელ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან.

11. ძირითადი საშუალებები წმინდა

<i>თვითღირებულება ან შეფასებული ღირებულება</i>	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული უზრუნველყოფა	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	118,883	143,424	262,308
შესყიდვები	-	-	-
გაყიდვები	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	118,883	143,424	262,307
შესყიდვები	-	-	-
გაყიდვები	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	118,883	143,424	262,307
<i>ცვეთა</i>			
2019 წლის 31 დეკემბერი	58,970	128,226	187,196
მიმდინარე წლის ცვეთა	17,830	8,652	26,483
გაყიდვები	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	76,801	136,878	213,679
მიმდინარე წლის ცვეთა	17,829	5,675	23,504
გაყიდვები	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	94,630	142,554	237,184
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>			
2019 წლის 31 დეკემბერი	59,913	15,198	75,111
2020 წლის 31 დეკემბერი	42,083	6,546	48,628
2021 წლის 31 დეკემბერი	24,254	870	25,124

შპს „მერსკ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

12. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
მოთხოვნები მეკავშირე კომპანიებთან	589,851	841,047	3,531,579
დეპოზიტები, მიმდინარე	11,747	12,419	11,919
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	1,025	1,031	1,052
მოთხოვნები თანამშრომლებთან	589,851	990	500
	<u>602,623</u>	<u>855,487</u>	<u>3,545,050</u>

13. სესხები და სხვა მოთხოვნები, მიმდინარე

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
მისაღები სესხები, მიმდინარე	916,070	2,113,151	116,650
	<u>916,070</u>	<u>2,113,151</u>	<u>116,650</u>

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
ფული საბანკო ანგარიშებზე	91,677	830,184	777,308
	<u>91,677</u>	<u>830,184</u>	<u>777,308</u>

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
სახელფასო ვალდებულებები	92,928	72,057	11,567
სავაჭრო ვალდებულებები	78,981	68,712	53,296
სხვა ანარიცხები	-	8,433	10,373
ვალდებულები მეკავშირე კომპანიებთან	-	-	6,182
	<u>171,909</u>	<u>149,202</u>	<u>81,418</u>

16. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები და ბალანსები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობას და კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს, ასევე უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრებს.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ნაშთები და გარიგებები:

შპს „მერსკ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილში მოცემული ციფრები წარმოდგენილია ლარში)

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
შემოსავალი	1,795,284	2,314,069	1,553,378
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	589,851	841,047	3,531,579
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	6,182
სესხები, მიმდინარე	916,070	2,113,151	116,650

17. პირობითი ვალდებულებები

ვალდებულებები – კომპანიას არ გააჩნია არსებითი დაუფარავი ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

სამართალწარმოება – 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია იყო ჩართული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან საგადასახადო დავაში, რომელიც ეფუძნებოდა ბრძანება N41738-სა და საგადასახადო მოთხოვნა N005-310 -ს, დათარიღებული 29 დეკემბრის 2021 წლით, დანართი N I-09- ს.

სადავო თანხის ღირებულება და ფინანსური გავლენა შეადგენს 10,686,221 ლარს, შესამოწმებელი პერიოდი მოიცავს 2018 წლის 1 იანვარსა და 2021 წლის 1 ნოემბერს.

საწყის ეტაპზე კომპანიამ გაასაჩივრა ზემოთ ხსენებული დარიცხული თანხები და ჯარიმა 2022 წლის 28 იანვარს, რომელი განცხადებაც არ დაკმაყოფილდა და საქმე ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დავების საბჭოში, საქმის გადაწყვეტის სავარაუდო დრო უცნობია.

მენეჯმენტი მიჩნევს რომ ზემოთხსენებული დავის წაგება არ არის სავარაუდო, შესაბამისად, მას წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხები არ გაუთვალისწინებია.

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა და პრაქტიკა მუდმივი განვითარების პროცესში იმყოფება შესაბამისად ის ცვალებად ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებებს ექვემდებარება, რაც შესაძლოა უკუქმედების ძალის მქონე იყოს. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობებთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობისეულ ინტერპრეტაციებს. საგადასახადო პერიოდები ღია რჩება ხუთი წლის განმავლობაში საგადასახადო უწყებების მიერ გადასახედად. შედეგად, საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ექვეყნებ დააყენონ გარიგებები, ხოლო კომპანიას შესაძლოა დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

18. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა დირექტორთა საბჭოს მიერ და გამოსაშვებად ავტორიზებულ იქნა 2022 წლის 30 აგვისტოს.

დირექტორი: რომან კოლოიანოვი

2021 წლის 30 აგვისტოს